

5.1. საგადასახადო წარმოება და მისი ძირითადი სტადიები

გადასახადის გადამხდელის ყველაზე მნიშვნელოვანი იურიდიული ვალდებულებაა კანონით დაწესებული გადასახადის გადახდა. აღნიშნული ვალდებულება წარმოადგენს გადასახადის გადამხდელის ძირითად ვალდებულებას ყველა სხვა ვალდებულებებთან მიმართებაში. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 53-ე მუხლის თანახმად, **საგადასახადო ვალდებულებად** ითვლება გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის, სხვა ვალდებული პირის ვალდებულება გადაიხადოს ამ კოდექსით დაწესებული. აგრეთვე ამ კოდექსით დაწესებული და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს ნორმატიული აქტით შემოღებული გადასახადი. საგადასახადო ვალდებულება ეკისრება გადასახადის გადამხდელს საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილ იმ გარემოებათა წარმოქმნის მომენტიდან, რომლებიც ითვალისწინებენ გადასახადის გადახდას.

საგადასახადო წარმოება წარმოადგენს კანონმდებლობით დადგენილი ხერხების, საშუალებებისა და მეთოდების ერთობლიობას, რომლებიც განსაზღვრავს გადასახადის გადამხდელისა და სხვა პირების იურიდიული ვალდებულების აღსრულების წესს გადასახადების გამოანგარიშებასა და ბიუჯეტში გადახდასთან დაკავშირებით. ამრიგად, საგადასახადო წარმოება საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი საგადასახადო ვალდებულების შესრულების წესია.

საგადასახადო წარმოება იწყება გადასახადით დასაბეგრი ობიექტის წარმოშობის მომენტიდან, გადის გადასახადის გამოანგარიშებისა და გადახდის ყველა სტადიას და მთავრდება გადასახადის ჩარიცხვით შესაბამის ბიუჯეტში. მთლიანობაში საგადასახადო წარმოება პირობითად შეიძლება დავეყოთ ორ სტადიად **(იხ. სქემა 5.1):**

- გადასახადების **გამოანგარიშება**;
- გადასახადების **გადახდა**.

დამატებითი და დამხმარე კომპონენტის სახით შეიძლება გამოვყოთ ურთიერთობათა ბლოკი, რომელიც, როგორც გადასახადის გამოანგარიშებისას, ასევე გადასახადის გადახდისას დაკავშირებულია საგადასახადო ვალდებულების შესრულების დოკუმენტირებასთან (ფიქსაციასთან).

5.2. გადასახადის გამოანგარიშების ცნება და ძირითადი სტადიები

გადასახადის გამოანგარიშება – საგადასახადო წარმოების პირველი სტადიაა, რომელიც წარმოადგენს შესაბამისი პირის მოქმედებათა ერთობლიობას ბიუჯეტში გადასახდელი გადასახადის თანხის განსაზღვრის მიზნით.

გადასახადის გამოანგარიშება წარმოადგენს პროცესს, რომლის დროსაც გადასახადის გადამხდელი ადგენს საგადასახადო ვალდებულების მოცულობას. შესაძლებელია გამოვყოთ გადასახადის გამოანგარიშების პროცესის ხუთი თანმიმდევრული სტადია **(იხ. სქემა 5.2):**


- **გადასახადის ობიექტის განსაზღვრა**;
- **საგადასახადო ბაზის განსაზღვრა**;
- **გადასახადის განაკვეთის ამორჩევა**;
- **საგადასახადო შეღავათების გამოყენება**;

➤ გადასახადის თანხის გამოანგარიშება


გადასახადის გამოანგარიშების ვალდებულება შეიძლება დაეკისროს გადასახადის გადამხდელს, საგადასახადო ორგანოს ან საგადასახადო აგენტს (იხ. სქემა 5.3).

საგადასახადო წარმოების სტადიები


სქემა 5.1



სქემა 5.2



სქემა 5.3



5.3. ბუღალტრული აღრიცხვა გადასახადების გამოანგარიშების სისტემაში

საბჭოთა კავშირში ბუღალტრული აღრიცხვისა და გადასახადებით დაბეგვრის სისტემებს შორის თანაარსებობის საკითხი არასოდეს არ განიხილებოდა, ვინაიდან ცენტრალიზებულად მართვადი ეკონომიკის პირობებში გადასახადებით დაბეგვრის სისტემა, როგორც ასეთი, არ არსებობდა.

საქართველოს საგადასახადო სისტემის ფორმირების პერიოდში ბუღალტრული აღრიცხვის სისტემა ორგანულად იქნა ჩაშენებული გადასახადებით დაბეგვრის სისტემაში და გამოიყენებოდა გადასახადების გამოანგარიშების მიზნებისათვის. ამასთან, ბუღალტრული აღრიცხვა ასრულებდა საანგარიშო-საგადასახადო ფუნქციებს პრაქტიკულად სრული მოცულობით.

საქართველოში გადასახადებით დაბეგვრის სისტემის ჩამოყალიბებისა და განვითარების სტადიაზე საგადასახადო და ბუღალტრული დებულებების ურთიერთობა იგებოდა ბუღალტრული აღრიცხვის დაბეგვრის მიზნებისათვის დაქვემდებარების პრინციპით, რამაც უარყოფითად იმოქმედა ბუღალტრული აღრიცხვის ჩამოყალიბებასა და განვითარებაზე და საჭირო გახდა მთელი სააღრიცხვო სისტემის გარდაქმნა და ორიენტაციების ცვლა. მიუხედავად ამისა, გადასახადებით დაბეგვრასა და ბუღალტრული აღრიცხვას შორის ურთიერთკავშირი კვლავაც საკმაოდ მჭიდროა.

განვიხილოთ ბუღალტრული აღრიცხვასა და გადასახადებით დაბეგვრას შორის ურთიერთკავშირი თანამედროვე ეტაპზე.

- **ესა თუ ის საგადასახადო მაჩვენებლები ფორმირდება (გამოიანგარიშება) მხოლოდ და მხოლოდ ბუღალტრული აღრიცხვის მონაცემების საფუძველზე.** ვინაიდან ბუღალტრული აღრიცხვა უშუალოდ ახდენს იმ მონაცემებისა და მაჩვენებლების ფორმირებას, რომლებიც აუცილებელია გადასახადების გამოსაანგარიშებლად. მაგალითად, **საგადასახადო კოდექსის 201-ე მუხლის თანახმად**, საწარმოსათვის ქონების გადასახადი გამოიანგარიშება მოცემული საწარმოს ბალანსის აქტივში ასახული ძირითადი საშუალებების ან საინვენსტიციო აქტივების, დაუმონტაჟებელი მოწყობილობების, დაუმთავრებელი მშენებლობის და მის მიერ ლიზინგით გაცემული ქონების მიხედვით.

გადასახადებით დაბეგვრასა და ბუღალტრულ აღრიცხვას შორის მჭიდრო კავშირზე მიუთითებს ის გარემოებაც, რომ გადასახადის გამოანგარიშება და გადახდა ბუღალტრულ აღრიცხვაში განიხილება, როგორც ერთ-ერთი სამეურნეო ოპერაცია და აისახება შესაბამის ანგარიშებზე. **ესა თუ ის საგადასახადო მაჩვენებლები ფორმირდება (გამოიანგარიშება)**

ბუღალტრული აღრიცხვის მონაცემების საფუძველზე. მაგრამ გადასახადებით დაბეგვრის მიზნისათვის განსაზღვრული მეთოდების გამოყენებით.

საგადასახადო აღრიცხვის მოცემული მეთოდის დროს გადასახადის გადამხდელი თავდაპირველად გამოიყენებს ბუღალტრული აღრიცხვის მაჩვენებლებს, ხოლო შემდგომ აწარმოებს მიღებული მაჩვენებლების კორექტირებას საგადასახადო კანონმდებლობით განსაზღვრული სპეციალური მეთოდის მიხედვით. მაგალითად, მოგების გადასახადი გამოიანგარიშება გადამხდელის ფაქტობრივი მოგებიდან გამომდინარე, რომელიც განისაზღვრება ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშების საფუძველზე. ამასთან, თუ გადამხდელმა უსასყიდლოდ ან შემცირებული ფასით მოახდინა აქტივების მიწოდება, ასეთ

შემთხვევაში მოგების გადასახადი გამოიანგარიშება მიწოდებული აქტივების საბაზრო ფასით.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ საზღვარგარეთის ქვეყანაში განასხვავებენ ბუღალტრული და საგადასახადო აღრიცხვის თანაარსებობის ორ მოდელს.

პირველ მოდელს უწოდებენ „კონტინენტალურს“ და იგი წარმოადგენს სისტემას, რომლის დროსაც ბუღალტრული აღრიცხვა და საგადასახადო აღრიცხვა, ფაქტობრივად, ერთმანეთს ემთხვევა. ამასთან, ბუღალტრული აღრიცხვა ასრულებს ყველა ფისკალურ-სააღრიცხვო ამოცანას. „კონტინენტალურ“ მოდელს მიეკუთვნება სააღრიცხვო სისტემები გერმანიაში, შვეიცარიაში, ბელგიაში, ესპანეთში, იტალიაში და სხვა ქვეყანაში. ამავე მოდელს შეიძლება მიეკუთვნოთ ბუღალტრული და საგადასახადო აღრიცხვის თანაფარდობა საქართველოში 1997 წლამდე.

ბუღალტრული და საგადასახადო აღრიცხვის არსებობის მეორე მოდელს „ანგლოსაქსონური“ უწოდება და ძირითადად გამოიყენება აშშ-ში, ინგლისში, ავსტრიაში, კანადაში. მოცემული მოდელი გულისხმობს პარალელურად როგორც ბუღალტრული, ასევე საგადასახადო აღრიცხვის არსებობასა და წარმოებას. შეიძლება ითქვას, რომ 1997 წლიდან საქართველო მისდევს „ანგლოსაქსონურ“ მოდელს.


5.4. გადასახადის საგანი. გადასახადის ობიექტის ცნება

გადასახადის საგანია მატერიალური სამყაროს ობიექტი, რომლის არსებობას კანონი უკავშირებს საგადასახადო ვალდებულებას წარმოშობას.

გადასახადით დაბეგვრის საგანი შეიძლება იყოს როგორც მატერიალური სამყაროს ობიექტები (მაგალითად, მიწა, შენობა-ნაგებობა, ავტომობილი და სხვა ქონება), ასევე არამატერიალური სიკეთე (ეკონომიკური მაჩვენებელი, ადგილობრივი სიმბოლიკა და სხვა).

გადასახადის ობიექტი წარმოადგენს იმ იურიდიულ ფაქტებს (მოქმედება, მოვლენა, მდგომარეობა), რომლებიც განაპირობებენ გადასახადის გადამხდელის ვალდებულებას – გადაიხადოს გადასახადი.

კანონმდებლობა არ იძლევა გადასახადით დასაბეგრი ობიექტის ზოგად ცნებას. საგადასახადო კოდექსის სხვადასხვა მუხლში მოცემულია მხოლოდ გადასახადით დასაბეგრ ობიექტთა ნუსხა: შემოსავლის, მოგების მიღება; საქონლის ღირებულება; გადასახადის გადამხდელის საქმიანობის ზოგიერთი სახეები; ქონების მფლობელობა და ა.შ. დაბეგვრის ობიექტი შეიძლება დავყოთ შემდეგ სახეებად.



5.5. გადასახადის მასშტაბი და გადასახადის ერთეული

გადასახადო დაბეგვრის უმეტესი საგნები შეუძლებელია უშუალოდ გამოვსახოთ დაბეგვრის რაიმე ერთეულებში. ასეთი საგნების განზომილებისათვის, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა მრავალი შესაძლებლობიდან ამოვირჩიოთ რაიმე ფიზიკური მახასიათებელი, განზომილების რაიმე პარამეტრი, ე.ი. განვსაზღვროთ **გადასახადის მასშტაბი**.

გადასახადის მასშტაბი წარმოადგენს გადასახადის საგნის განზომილების კანონით დადგენილ მახასიათებელს (პარამეტრს).

გადასახადის მასშტაბი განისაზღვრება ეკონომიკური (ღირებულებითი) და ფიზიკური მახასიათებლების საშუალებით: ძრავის სიმძლავრე და მოცულობა, მიწის ფართობი, საგნების რაოდენობა და ა.შ. მაგალითად, მოგების, საქონლის ღირებულების ან დამატებული ღირებულების განზომილებისათვის გამოიყენება ფულადი ერთეულები. ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე ქონების გადასახადის გამოანგარიშების საგანს წარმოადგენენ სატრანსპორტო საშუალებები, მაგრამ სხვადასხვა ქვეყანაში გამოიყენება მათი დაბეგვრის სხვადასხვა პარამეტრი: ბელგიაში და ნიდერლანდებში – ავტომობილის წონა, გერმანიაში – ძრავის მოცულობა, საფრანგეთსა და იტალიაში – ძრავის სიმძლავრე. მთელ რიგ

ქვეყანაში აქციზის გამოანგარიშებისას მასშტაბის სახით გამოიყენება ალკოჰოლიანი სასმელების სიმაგრე.

გადასახადის ერთეული წარმოადგენს გადასახადის მასშტაბის პირობით ერთეულს, რომელიც გამოიყენება დასაბეგრი ბაზის რაოდენობრივი გამოსახვისათვის. მაგალითად, ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე ქონების გადასახადის მასშტაბს შეიძლება წარმოადგენდეს ავტომობილის ძრავის სიმძლავრე. ავტომობილის ძრავის სიმძლავრე შეიძლება განისაზღვროს სხვადასხვა ერთეულებში – ცხენის ძალებში ან კილოვატებში. სწორედ სიმძლავრის განზომილების ამორჩეული ერთეული წარმოადგენს დაბეგვრის მიზნებისათვის გადასახადის ერთეულს.

მთელი რიგი შესაძლო შემთხვევებიდან დაბეგვრის ერთეულის ამორჩევა განისაზღვრება ტრადიციებით ან მისი პრაქტიკაში გამოყენების მოხერხებულობით. მაგალითად, მოგებისა და შემოსავლის დაბეგვრისას გადასახადის ერთეულად მიღებულია ეროვნული ფულადი ერთეული (ლარი, რუბლი, აშშ დოლარი და ა.შ.), მიწის დაბეგვრისას გამოიყენება ქვეყანაში მიღებული განზომილების ერთეულები (კვადრატული მეტრი, ჰექტარი, აკრი და ა.შ.), ბენზინზე აქციზის დადგენისას დაბეგვრის ერთეულის სახით შეიძლება ფიგურირებდეს ლიტრი, გალონი, ბარელი და ა.შ.

5.6. საგადასახადო ბაზის ცნება

საგადასახადო ბაზა რაოდენობრივად გამოხატავს დაბეგვრის საგანს. საგადასახადო ბაზას გადასახადის საფუძველსაც უწოდებენ. გადასახადის თანხის გამოანგარიშებისას საგადასახადო ბაზა არის ყოველთვის ნამრავლი, ე.ი. მის მიმართ გამოიყენება გადასახადის განაკვეთი. საგადასახადო ბაზა განისაზღვრება შემდეგნაირად:

$$\text{საგადასახადო ბაზა} = \frac{\text{გადასახადით დაბეგვრის ერთეული}}{X} \times \text{ერთეულის რაოდენობაზე}$$


საგადასახადო ვალდებულების წარმოშობის მომენტის სწორად განსაზღვრის მიზნით დიდი მნიშვნელობა ენიჭება კონკრეტულ გადასახადზე გადასახადით დასაბეგრი ბაზის **ფორმირების მეთოდს** დროში. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა განასხვავებს გადასახადით დასაბეგრი ბაზის ფორმირების ორ ძირითად მეთოდს (**იხ. სქემა 5.5**):

პირველი მეთოდის გამოყენებისას გადასახადის გადამხდელმა შემოსავალი უნდა აღრიცხოს მისი მიღების ან მისი გამოყენებისა და განკარგვის უფლების მოპოვების მომენტში და ხარჯების დაქვითვა მოახდინოს განაღდების შემდეგ. აღნიშნულ მეთოდს აღრიცხვის **საკასო მეთოდი** ეწოდება, ვინაიდან მხედველობაში იდებს მხოლოდ იმ თანხებს (ქონებას), რომელიც გადამხდელმა მიიღო განსაზღვრული იურიდიული ფორმით.

მეორე მეთოდის გამოყენებისას მნიშვნელობა ენიჭება ქონებრივი უფლებებისა და ვალდებულებების წარმოშობის მომენტს. შემოსავლები და ხარჯები აისახება გადასახადის გადამხდელის მიერ ამ შემოსავლებზე უფლების მოპოვების ან ასეთი ხარჯების აღიარების მომენტის მიხედვით, შემოსავლების ფაქტობრივად მიღებისა და ხარჯების

გაწევის მომენტის მიუხედავად. აღნიშნულ მეთოდს **დარიცხვის მეთოდი** ეწოდება. თუ გადასახადის გადამხდელი აღრიცხვას აწარმოებს დარიცხვის მეთოდის გამოყენებით, შემოსავლის მიღების მომენტად, ჩაითვლება საქონლის მიწოდების ან მომსახურების გაწევის მომენტი.

სქემა 5.5



5.7. საგადასახადო განაკვეთის ცნება

გადასახადის განაკვეთი წარმოადგენს საგადასახადო დანარიცხების მოცულობას საგადასახადო ბაზის განზომილების ერთეულზე, ანუ გადასახადის განაკვეთი წარმოადგენს გადასახადის გადამხდელის ქონების ნაწილს, რომელიც ექვემდებარება გადახდას სახელმწიფოს სასარგებლოდ.

კონკრეტულ გადასახადებზე საგადასახადო განაკვეთები შეიძლება დადგინდეს არა მხოლოდ მხოლოდ რიცხვში (მაგალითად, მოგების გადასახადის 15%-ანი განაკვეთი), არამედ მრავლობითშიც, ე.წ. **საგადასახადო ტარიფების** მეთოდით – სისტემატიზებული ნუსხის სახით (თანხებში ან პროცენტებში), რომლითაც იბეგრება სხვადასხვა საქონელი, გაწეული მომსახურება და ა.შ.

5.8. საგადასახადო შეღავათების ცნება და სახეები

საგადასახადო შეღავათად ითვლება სხვა გადასახადის გადამხდელთან შედარებით ცალკეული კატეგორიის გადასახადის გადამხდელისათვის მინიჭებული უპირატესობა, კერძოდ, შესაძლებლობა გადაიხადონ გადასახადი ნაკლები ოდენობით.

საგადასახადო შეღავათები ნებისმიერი გადასახადის მნიშვნელოვანი ელემენტია. ყველა საგადასახადო შეღავათს გააჩნია ერთი საერთო მიზანი – გადასახადის გადამხდელის საგადასახადო ვალდებულების შემცირება.

გადასახადის გადამხდელმა შეღავათით სარგებლობისათვის უნდა **დაასაბუთოს** თავისი უფლება ამ შეღავათზე. მაგალითად, საქონლის ექსპორტისას გათვალისწინებული შეღავათის გამოსაყენებლად გადასახადის გადამხდელმა საგადასახადო ორგანოში უნდა

წარადგინოს ის შესაბამისი დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ საქონლის ექსპორტის ფაქტს (კონტრაქტი, სასაქონლო დეკლარაცია და ა.შ.). აღნიშნული დოკუმენტების არარსებობის შემთხვევაში, გადასახადის გადამხდელის მიმართ შელავათები არ გამოიყენება.

ამავდროულად, გადასახადის გადამხდელს უმეტეს შემთხვევაში უფლება აქვს ისარგებლოს შელავათით საგადასახადო ორგანოს სპეციალური ნებართვის გარეშე. ხოლო შემოწმებისას თუ საგადასახადო ინსპექცია ჩათვლის, რომ გადასახადის გადამხდელს არ ჰქონდა შელავათის უფლება ან ისარგებლა შელავათით დადგენილი წესის დარღვევით, მაშინ მას შეუძლია გადასახადის გადამხდელს მოსთხოვოს გადასახადის ნარჩენი თანხისა და მასთან დაკავშირებული საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული ფინანსური სანქციების გადახდა.

საგადასახადო შელავათების დაწესებისას დაცული უნდა იქნეს დებულება, რომლის თანახმადაც **აკრძალულია ინდივიდუალური საგადასახადო შელავათების** დაწესება ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის. მოცემული დებულება ნიშნავს, რომ ნებისმიერი საგადასახადო შელავათები შეიძლება მიენიჭოს მხოლოდ გადასახადის გადამხდელთა განსაზღვრულ წრეს ან გადამხდელთა განსაზღვრულ კატეგორიას. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით პერსონალური შელავათები აკრძალულია.

საგადასახადო შელავათები გადასახადის გადამხდელს შეიძლება მიენიჭოს სხვადასხვა ფორმით, კერძოდ:

- **ზოგიერთი კატეგორიის პირების გადასახადებისაგან განთავისუფლება.**
- **საგადასახადო იმუნიტეტი.**
- **დასაბეგრი ბაზიდან გადასახადის ობიექტის გარკვეული ნაწილების გამოქვითვა.**
- **დაუბეგრავე მინიმუმის დადგენა. დაბალი საგადასახადო განაკვეთების დაწესება.**
- **აღრე გადახდილი გადასახადის (გადასახადის ნაწილის) დაბრუნება.**
- **აღრე გადახდილი გადასახადის ჩათვლა.**

5.9. საგადასახადო პერიოდი და გადასახადის გამოანგარიშების ხერხი

საგადასახადო პერიოდი წარმოადგენს ვადას, რომლის განმავლობაშიც ფორმირდება გადასახადით დასაბეგრი ბაზა და საბოლოოდ განისაზღვრება საგადასახადო ვალდებულებების მოცულობა.

საგადასახადო პერიოდი შეიძლება განვსაზღვროთ როგორც კალენდარული წელი ან ზოგიერთ გადასახადებთან მიმართებაში სხვა პერიოდი, რომლის დამთავრებისთანავე განისაზღვრება საგადასახადო ბაზა და გამოიანგარიშება გადასახდელი გადასახადის თანხა.

ამ სააღრიცხვო-საგადასახადო ელემენტის აუცილებლობა განსაზღვრულია იმ გარემოებით, რომ გადასახადით დასაბეგრის მრავალ ობიექტს (მოგების, შემოსავლის მიღება, საქონლის რეალიზაცია და ა.შ.) ახასიათებს განგრძობადობა დროში. ამასთან, შესაბამისი მაჩვენებლების განსაზღვრის მიზნით, აუცილებელია სისტემატურად ვაწარმოოთ შესრულებული ოპერაციების აღრიცხვა და შედეგების პერიოდული გამოყვანა. ერთჯერადი

გადასახადებისათვის (მაგალითად, მემკვიდრეობასა და ჩუქებაზე საშემოსავლო გადასახადისათვის) აღნიშნული ელემენტი არ არის დადგენილი.

საგადასახადო პერიოდის შესახებ საკითხი დაკავშირებულია ერთჯერადი დაბეგვრის პრობლემასთან. ორმაგი დაბეგვრის დაუშვებლობის პრინციპის შესაბამისად ერთი და იგივე ობიექტი შეიძლება დაიბეგროს ერთი სახის გადასახადით მხოლოდ ერთხელ, კანონით განსაზღვრულ დაბეგვრის პერიოდში.

საგადასახადო პერიოდის ცნება უნდა განვასხვავოთ საანგარიშო პერიოდის ცნებისაგან, ე.ი. შედეგების დაჯამებისა და საგადასახადო ორგანოებში ანგარიშების წარდგენის პერიოდისაგან. მთელ რიგ შემთხვევებში საგადასახადო და საანგარიშო პერიოდები ერთმანეთს ემთხვევა. მაგალითად, ღღვ-ის საგადასახადო და საანგარიშო პერიოდები შეადგენს თვეს.

5 . 10 . საგადასახადო დოკუმენტაცია და ანგარიშგება. საგადასახადო დეკლარაციები და საგადასახადო ორგანოების შეტყობინებები

საგადასახადო დოკუმენტაცია წარმოადგენს დაბეგვრის მიზნებისათვის განკუთვნილ დოკუმენტაციას, რომელიც აფიქსირებს გადასახადის გამოანგარიშების პროცესს, გადასახადის თანხასა და საგადასახადო ვალდებულების მოცულობას.

სპეციალური საგადასახადო დოკუმენტაციის წარმოება წარმოადგენს საგადასახადო აღრიცხვის მეთოდოლოგიის ფორმალურ ტექნიკურ ხერხს. საგადასახადო დოკუმენტებს განეკუთვნება დოკუმენტების ოთხი სახეობა:

- საანგარიშგებო საგადასახადო დოკუმენტაცია;
- თანმხლები საგადასახადო დოკუმენტაცია;
- სააღრიცხვო-საგადასახადო რეგისტრები;
- შეტყობინებები.

საანგარიშგებო საგადასახადო დოკუმენტაციას (საგადასახადო გაანგარიშებები და დეკლარაციები) მიეკუთვნება დოკუმენტაცია, რომელშიც ფიქსირდება საგადასახადო ვალდებულების თანხა. საგადასახადო გაანგარიშება წარმოადგენს სპეციალურ ტიპურ ფორმას, რომელშიც გადასახადის გადამხდელი ასახავს ძირითად საგადასახადო-გაანგარიშებით მაჩვენებლებს და გამოიანგარიშებს საგადასახადო ვალდებულების თანხას (გაანგარიშებები, დეკლარაციები, სპეციალური გაანგარიშებები გადასახადის ზოგიერთი სახისათვის). უნდა აღინიშნოს, რომ პრაქტიკულად თითოეული სახის გადასახადისათვის არსებობს მხოლოდ ერთი საანგარიშგებო დოკუმენტი, რომელიც წარედგინება საგადასახადო ორგანოებს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის მიხედვით. თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში საგადასახადო გაანგარიშებას შეიძლება ჰქონდეს თავისი სახელი, მაგალითად:

- დამატებული ღირებულების გადასახადი – დამატებული ღირებულების გადასახადის ყოველთვიური დეკლარაცია;

- საშემოსავლო გადასახადი – საშემოსავლო გადასახადის ყოველწლიური დეკლარაცია;
- საწარმოთა ქონების გადასახადი – საწარმოთა ქონების გადასახადის გაანგარიშება.

საგადასახადო გაანგარიშებები გათვალისწინებულია პრაქტიკულად ყველა გადასახადზე.

საანგარიშგებო-საანგარიშსწორებო დოკუმენტაციაში აისახება ვადები, გადასახადით დასაბეგრი ბაზა, შეღავათები, გადასახადის თანხები და ა.შ. საანგარიშგებო-საანგარიშსწორებო დოკუმენტაციას ხელს აწერს გადასახადის გადამხდელი ან მისი არყოფნის, ან ქმედუნარობის შემთხვევაში, მისი კანონიერი წარმომადგენელი.

საგადასახადო ორგანოებში საგადასახადო დეკლარაციისა და კანონმდებლობით გათვალისწინებული ანგარიშგების ფორმების წარუდგენლობის ან დაგვიანებით წარდგენის შემთხვევაში, გადასახადის გადამხდელს გადახდება ჯარიმა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 274 მუხლის შესაბამისად.

თანმხლებ საგადასახადო დოკუმენტაციას წარმოადგენს დოკუმენტაცია, რომელიც შეიცავს გადასახადის გამომგარიშებისათვის აუცილებელ სხვა (არაძირითად) მონაცემებს და ასაბუთებენ საგადასახადო გაანგარიშებაში ასახულ მონაცემებს.

თანმხლებ საგადასახადო დოკუმენტაციაში გამოყოფენ ორი სახის დოკუმენტებს:

- ✓ გადასახადების გამოსაანგარიშებლად საჭირო დოკუმენტები;
- ✓ დოკუმენტები, რომლებიც უშუალო ზეგავლენას არ ახდენენ გადასახადების გამომგარიშებაზე.

სააღრიცხვო-საგადასახადო რეგისტრები წარმოადგენს გადასახადის გადამხდელის საგადასახადო აღრიცხვის ნაერთ ფორმებს. ბუღალტრული აღრიცხვის პირველად დოკუმენტებში ასახული მონაცემები მათი განზოგადებისა და სისტემატიზაციის შემდეგ დაგვგუფებული სახით გადატანილი უნდა იქნეს საგადასახადო გაანგარიშებებში და, ამავდროულად, განისაზღვროს ბიუჯეტში შესატანი გადასახადის თანხა.

საგადასახადო რეგისტრების მაგალითებია:

- ფიზიკური პირის საგადასახადო ბარათი, რომელსაც აწარმოებს გადასახადის გადამხდელი დაქირავებით მომუშავე პირებზე გაცემული ხელფასის აღრიცხვის მიზნით.
- ინდივიდუალური მეწარმის შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვის წიგნი, რომელსაც აწარმოებენ ის მეწარმეები, რომლებიც იყენებენ გადასახადებით დაბეგვრის, აღრიცხვისა და ანგარიშგების გამარტივებულ სისტემას და ა.შ.

საგადასახადო მოთხოვნა საგადასახადო ორგანოების მიერ მიღებული დოკუმენტებია, რომლებიც შეიცავს ცნობებს გადასახადის გადახდის ვადისა და ოდენობის შესახებ. საგადასახადო მოთხოვნა, კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადებში, წარედგინება გადასახადის გადამხდელს.

საგადასახადო მოთხოვნის საფუძველზე გადასახადის გადამხდელი იხდის კუთვნილ გადასახადებს. ამ ფორმით გადასახადის დარიცხვა ხდება იმ დროს თუ გადასახადის დარიცხვაზე პასუხისმგებელია საგადასახადო ორგანოები (ფიზიკური პირთა ქონების

გადასახადი, მიწის გადასახადი) ან საგადასახადო შემოწმების დროს ღარიცხულ თანხებზე.

საქართველოს საგადასახადო კოდექსი

მუხლი 59. საგადასახადო პერიოდი

1. საგადასახადო პერიოდი არის დროის მონაკვეთი, რომლითაც განისაზღვრება პირის საგადასახადო ვალდებულება კონკრეტული გადასახადის მიხედვით.
 2. თუ საწარმო/ორგანიზაცია დაფუძნდა (სახელმწიფო რეგისტრაცია გაიარა) კალენდარული წლის დაწყების შემდეგ ამ წლის 1 დეკემბრამდე, მისთვის პირველი საგადასახადო პერიოდია დროის მონაკვეთი მისი დაფუძნების (რეგისტრაციის) დღიდან ამ წლის ბოლომდე ამასთანავე, ამ კოდექსის 21-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საწარმოს დაფუძნების დღედ ითვლება ერთობლივი საქმიანობის შესახებ ხელშეკრულების დადების დღე.
 3. თუ საწარმო/ორგანიზაცია დაფუძნდა 1 დეკემბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით, მისთვის პირველი საგადასახადო პერიოდია დროის მონაკვეთი დაფუძნების დღიდან მომდევნო წლის ბოლომდე, თუ ამ მუხლით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული
 4. თუ საწარმოს/ორგანიზაციის ლიკვიდაცია/რეორგანიზაცია განხორციელდა კალენდარული წლის დამთავრებამდე, მისთვის უკანასკნელი საგადასახადო პერიოდია დროის მონაკვეთი ამ წლის დასაწყისიდან მისი ლიკვიდაციის/რეორგანიზაციის დასრულების დღემდე.
 5. თუ საწარმო/ორგანიზაცია დაფუძნდა მისი ლიკვიდაციის/რეორგანიზაციის წლის წინა წლის 30 ნოემბრის შემდეგ, მისთვის პირველი და უკანასკნელი საგადასახადო პერიოდებია დროის მონაკვეთი დაფუძნების დღიდან ლიკვიდაციის/რეორგანიზაციის დასრულების დღემდე
 6. ამ მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილებით გათვალისწინებული წესები არ გამოიყენება იმ საწარმოების/ორგანიზაციების მიმართ, რომლებსაც გამოეყო ან მიუერთდა ერთი ან რამდენიმე საწარმო/ორგანიზაცია.
 7. თუ საგადასახადო პერიოდის განმავლობაში საქართველოს საწარმო/ორგანიზაცია იძენს უცხოური საწარმოს სტატუსს ან, პირიქით, უცხოური საწარმო – საქართველოს საწარმოს სტატუსს, საგადასახადო პერიოდი იყოფა ორ ნაწილად: პირველ ნაწილში საწარმო/ორგანიზაცია გადასახადის გადამხდელია თავდაპირველი სტატუსის შესაბამისად, ხოლო მეორეში – შეძენილი სტატუსის შესაბამისად.
- 7¹ნაწილი ა მ ო ღ ე ბ უ ლ ი ა.
8. ამ მუხლის მე-2–მე-4 ნაწილებით გათვალისწინებული წესები არ გამოიყენება იმ გადასახადის მიმართ, რომლის საგადასახადო პერიოდი არ არის კალენდარული წელი.

მუხლი 60. საგადასახადო შეღავათი

1. ამ კოდექსით გათვალისწინებული საერთო-სახელმწიფოებრივი ან ადგილობრივი გადასახადისაგან გათავისუფლება შეიძლება მხოლოდ ამ კოდექსში ცვლილებისა და დამატების შეტანით.
2. საგადასახადო შეღავათად ითვლება სხვა გადასახადის გადამხდელებთან შედარებით ცალკეული კატეგორიის გადასახადის გადამხდელებისათვის მინიჭებული უპირატესობა,

- კერძოდ, შესაძლებლობა, გადაიხადონ გადასახადი ნაკლები ოდენობით ან გათავისუფლდნენ გადასახადის გადახდისაგან.
3. ადგილობრივი გადასახადის გადახდისათვის საგადასახადო შეღავათი დგინდება შესაბამის ნორმატიულ აქტში ცვლილების შეტანით.
4. აკრძალულია ინდივიდუალური ხასიათის საგადასახადო შეღავათის დაწესება და ცალკეული პირის გათავისუფლება გადასახადისაგან.
5. გადასახადის გადამხდელს უფლება აქვს, ისარგებლოს საგადასახადო შეღავათი შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის წარმოშობის მომენტიდან მისი მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში.

მუხლი 64. საგადასახადო მოთხოვნა

1. საგადასახადო მოთხოვნა არის საგადასახადო ორგანოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომლის შესრულებაც სავალდებულოა ამ კოდექსით დადგენილი წესით.
2. საგადასახადო ორგანო ვალდებულია პირს წარუდგინოს საგადასახადო მოთხოვნა, თუ არსებობს მისი წარდგენის ერთ-ერთი შემდეგი საფუძველი:
- ა) გადასახადის დარიცხვა, რომლის გაანგარიშება საგადასახადო ორგანოს ვალდებულებაა;
- ბ) გადასახადის დარიცხვის ან/და სანქციის დაკისრების შესახებ საგადასახადო ორგანოს გადაწყვეტილება ან საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმი; (20.05.2011. N4705)
- გ) ამ კოდექსის 240-ე მუხლის შესაბამისად მესამე პირზე გადახდევინების მიქცევის შესახებ გადაწყვეტილება.
3. წარდგენის კონკრეტული საფუძველით პირს წარედგინება მხოლოდ ერთი საგადასახადო მოთხოვნა.
4. საგადასახადო მოთხოვნა შესრულებულად ითვლება პირის მიერ საგადასახადო მოთხოვნაში აღნიშნული თანხის გადახდის მომენტიდან.
5. საგადასახადო მოთხოვნის გამოცემის წესი განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.

მუხლი 67. საგადასახადო დეკლარაცია

1. საგადასახადო დეკლარაცია არის პირის ანგარიშგება ამ კოდექსით დადგენილი გადასახადის გამოანგარიშების შესახებ.
2. საგადასახადო დეკლარაციაში ჯამური საგადასახადო ვალდებულებების თანხის გაანგარიშება ხორციელდება სრულ ლარებში. ამ მიზნით 1 ლარამდე საგადასახადო ვალდებულება ნულდება.
3. პირს უფლება აქვს, პირადად წარადგინოს საგადასახადო დეკლარაცია საგადასახადო ორგანოში, აგრეთვე გაგზავნოს იგი დაზღვეული საფოსტო გზავნილით ან ელექტრონული ფორმით.
4. თუ პირი არ წარადგენს საგადასახადო დეკლარაციას, ითვლება, რომ მან წარადგინა დეკლარაცია, რომლის საფუძველზე გადასახდელად დასარიცხი გადასახადის თანხა ნულის ტოლია. ამ საანგარიშო პერიოდზე შემდგომ წარდგენილი საგადასახადო დეკლარაცია დაგვიანებულად წარედგენილად ჩაითვლება.
5. საგადასახადო დეკლარაციის ფორმებს, მისი შევსებისა და ელექტრონული დეკლარირების წესს განსაზღვრავს საქართველოს ფინანსთა მინისტრი.

მუხლი 69. საგადასახადო დეკლარაციაში ცვლილების ან/და დამატების შეტანა

- თუ პირი წარდგენილ საგადასახადო დეკლარაციაში აღმოაჩენს შეცდომას, რომელიც იწვევს საგადასახადო ვალდებულების ცვლილებას, იგი ვალდებულია საგადასახადო დეკლარაციაში შეიტანოს შესაბამისი ცვლილება ან/და დამატება.**
- შესწორებული საგადასახადო დეკლარაცია ჩაითვლება თავდაპირველად წარდგენილად, თუ იგი საგადასახადო ორგანოში წარდგენილია ამ საგადასახადო დეკლარაციის წარდგენის ვადის გასვლამდე.
- იმ პერიოდზე ან საკითხზე, რომელზედაც საგადასახადო ორგანომ უკვე განახორციელა საგადასახადო შემოწმება ან დარიცხვა, პირის მიერ საგადასახადო დეკლარაციის (მათ შორის, შესწორებული საგადასახადო დეკლარაციის) წარდგენის შემთხვევაში საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს, აღრიცხვა განახორციელოს ამ საგადასახადო დეკლარაციის (მათ შორის, შესწორებული საგადასახადო დეკლარაციის) მიხედვით. აღნიშნულის შესახებ საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირი გამოსცემს მოტივირებულ ბრძანებას. (15.05.2012. N6211)
- იმ პერიოდზე ან საკითხზე, რომელზედაც მიმდინარეობს ან უნდა ჩატარდეს საგადასახადო შემოწმება, პირის მიერ საგადასახადო დეკლარაციის (მათ შორის, შესწორებული საგადასახადო დეკლარაციის) წარდგენა დაუშვებელია საგადასახადო შემოწმების ჩატარების შესახებ სასამართლოს/საგადასახადო ორგანოს შესაბამისი გადაწყვეტილების/შეტყობინების ჩაბარებიდან ან ამ გადაწყვეტილების/შეტყობინების გადასახადის გადამხდელის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდზე ელექტრონულად განთავსებიდან ან საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმის შედგენიდან შესაბამისი საგადასახადო მოთხოვნის ამ პირისათვის ჩაბარებამდე პერიოდში.
- ამ მუხლის მე-4 ნაწილით დადგენილი შეზღუდვა არ მოქმედებს, თუ საგადასახადო ორგანოს შეტყობინება ამ კოდექსის 264-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად ძალადაკარგულად ჩაითვლება. (15.05.2012. N6211)

მუხლი 70. ინფორმაციის მოთხოვნის უფლება

- საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს, პირს მოსთხოვოს:
 - მისი სააღრიცხვო დოკუმენტაციის ან/და მის დაბეგვრასთან დაკავშირებული ინფორმაციის (მათ შორის, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე სხვა სახელმწიფოს კომპეტენტური (უფლებამოსილი) ორგანოს მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის) წარდგენა;
 - მისი ქონების ნუსხის წარდგენა.
- ამ კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევაში აღსრულების ეროვნული ბიუროს უფლებამოსილი პირს უფლება აქვს, განახორციელოს ამ მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილება.
- საგადასახადო ორგანო უფლებამოსილია გადასახადის გადამხდელის საგადასახადო შემოწმებისას (ამ შემოწმების ფარგლებში) ან საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების შესაბამისად სხვა სახელმწიფოს კომპეტენტური (უფლებამოსილი) ორგანოს მიმართვის საფუძველზე კომერციული ბანკისგან გამოითხოვოს პირის შესახებ "კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-17 მუხლით გათვალისწინებული კონფიდენციალური ინფორმაცია. ამ ინფორმაციას საგადასახადო ორგანო გამოითხოვს სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით,

გარდა ამ მუხლის 3' ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა.

3'. საგადასახადო ორგანო უფლებამოსილია "ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის საერთაშორისო საგადასახადო ვალდებულებების შესრულების

გაუმჯობესების და უცხოური ანგარიშის საგადასახადო შესაბამისობის აქტის (FATCA) შესრულების მიზნით" შეთანხმებით განსაზღვრული საქართველოს ფინანსური ინსტიტუტისგან ამ შეთანხმების ფარგლებში მოითხოვოს ამავე შეთანხმებით გათვალისწინებული ინფორმაცია და გადასცეს ეს ინფორმაცია აღნიშნული შეთანხმებით განსაზღვრულ ამერიკის შეერთებული შტატების კომპეტენტურ ორგანოს.

4. საგადასახადო ორგანო არ არის უფლებამოსილი, ამ მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ინფორმაცია გადასცეს ამ კოდექსის 39-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ პირებს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ინფორმაცია გადაეცემა სხვა სახელმწიფოს კომპეტენტურ (უფლებამოსილ) ორგანოს საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე.

5. პირი ვალდებულია მოთხოვნილი ინფორმაცია მითითებულ ვადაში, სწორად და სრულად წარუდგინოს საგადასახადო ორგანოს/აღსრულების ეროვნულ ბიუროს. პირი, რომლის ქონებასაც საგადასახადო ორგანომ ყადაღა დაადო, ვალდებულია ახალი ქონების შეძენის შემთხვევაში ამ ქონების შეძენიდან არაუგვიანეს 7 სამუშაო დღისა შეასწოროს მის მიერ წარდგენილი ქონების ნუსხა.

მუხლი 71. საბანკო დაწესებულების ვალდებულებები

1. საბანკო დაწესებულება ვალდებულია:

ა) **მეწარმე ფიზიკურ პირს ან/და საწარმოს/ორგანიზაციას გაუხსნას საბანკო ანგარიში საგადასახადო გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭების დამადასტურებელი მონაცემების საფუძველზე, გარდა ამ ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა; (15.05.2012. N6211)**

ბ) უცხოური საწარმოსათვის საბანკო ანგარიშის პირველად გახსნისას ან ამ საწარმოსათვის ბოლო ანგარიშის დახურვისას აღნიშნულის თაობაზე 3 სამუშაო დღის ვადაში (გარდა ამ ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა) აცნობოს შემოსავლების სამსახურს და სამსახურის მიერ ამ ინფორმაციის მიღებამდე უცხოური საწარმოს ანგარიშიდან არ განახორციელოს გასავლის ოპერაციები. გარდა ამისა, იგი უცხოური საწარმოს მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე შემოსავლების სამსახურს წარუდგენს ინფორმაციას უცხოური საწარმოს საიდენტიფიკაციო ნომრის ან/და მუდმივი დაწესებულების ფაქტობრივი მისამართის შესახებ (თუ ასეთი ინფორმაცია არსებობს ან ანგარიშის გამხსნელმა პირმა ეს ინფორმაცია ბანკს წარუდგინა);

გ) **3 სამუშაო დღის ვადაში აცნობოს შესაბამის საგადასახადო ორგანოს მის მიერ ამ ნაწილის „ა“ ქვეპუნქტში მითითებული პირებისათვის ანგარიშის პირველად გახსნის ან მათთვის ბოლო ანგარიშის დახურვის შესახებ და საგადასახადო ორგანოს მიერ ამ ინფორმაციის მიღებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში ამ ნაწილის „ა“ ქვეპუნქტში მითითებული პირის ანგარიშიდან არ განახორციელოს გასავლის ოპერაციები. გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გასავლის ოპერაცია უკავშირდება ბიუჯეტში გადასახადის თანხის გადახდას** თუ შემოსავლების სამსახურსა და საბანკო დაწესებულებას შორის დადებულია ხელშეკრულება ინფორმაციის (მათ შორის, საინკასო დავალების) ელექტრონული ფორმით გაცვლის შესახებ, ამ ქვეპუნქტში მითითებული ვადები განისაზღვრება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, მაგრამ არა უმეტეს ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვადებისა;

დ) **1) ფიზიკური პირის მეწარმე ფიზიკურ პირად არსებობის ფაქტის დადგენიდან 3 დღის ვადაში აცნობოს საგადასახადო ორგანოს ასეთი პირის მოქმედი ანგარიშებიდან პირველის გახსნის ან მისთვის ბოლო ანგარიშის დახურვის თარიღი** თუ შემოსავლების სამსახურსა და საბანკო დაწესებულებას შორის დადებულია ხელშეკრულება ინფორმაციის (მათ შორის, საინკასო დავალების) ელექტრონული ფორმით გაცვლის შესახებ, ამ ქვეპუნქტში მითითებული ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, მაგრამ არა უმეტეს ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვადისა; (24.06.2011. N4963)

დ) ამ ნაწილის „ა“ ქვეპუნქტში მითითებული პირების საბანკო ანგარიშიდან არ განხორციელოს გასავლის ოპერაციები (ბანკის მომსახურების საზღაურის გარდა, თუ ეს ოპერაციები არ უკავშირდება ბანკის სისტემის გარეთ საანგარიშსწორებო ოპერაციებს) საგადასახადო გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომრის მითითების გარეშე;

ე) შემოსავლების სამსახურს მასთან დადებული ხელშეკრულებით განსაზღვრულ შემთხვევებში და ამავე ხელშეკრულებით დადგენილი ვადისა და პირობების დაცვით აცნობოს მხოლოდ ამ ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული პირების ანგარიშების გახსნის ან/და დახურვის შესახებ და საგადასახადო ორგანოს მიერ ამ პირების საიდენტიფიკაციო ნომრების მითითებით გამოწერილი საინკასო დავალება ან დადებული ყადაღა გაავრცელოს მათ საბანკო ანგარიშზე/ანგარიშებზე საინკასო დავალების ან/და ყადაღის ფარგლებში, რაც არ ზღუდავს საინკასო დავალების ან/და ყადაღის ფარგლების ზემოთ არსებული ფულადი სახსრების განკარგვის უფლებას, ხოლო საბანკო ანგარიშზე/ანგარიშებზე საინკასო დავალების ან/და ყადაღის ფარგლებში ფულადი სახსრების სრული მოცულობით არარსებობის შემთხვევაში გამოწერილი საინკასო დავალება ან დადებული ყადაღა ავტომატურად გაავრცელოს მათ ყველა საბანკო ანგარიშზე; (15.05.2012. N6211)

ვ) შემოსავლების სამსახურის მოთხოვნის შემთხვევაში მიაწოდოს მას ინფორმაცია საგადასახადო გადამხდელის ანგარიშის გახსნის ან დახურვის შესახებ აღნიშნული მოთხოვნიდან 3 სამუშაო დღის ვადაში. შემოსავლების სამსახურს ამ ინფორმაციის მოთხოვნის უფლება აქვს ამ კოდექსით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადის ფარგლებში, რომელიც აითვლება ანგარიშის გახსნიდან/დახურვიდან, ხოლო სხვა შემთხვევაში ინფორმაცია შესაძლებელია გამოთხოვილ იქნეს სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე. თუ შემოსავლების სამსახურსა და საბანკო დაწესებულებას შორის დადებულია ხელშეკრულება ინფორმაციის ელექტრონული ფორმით გაცვლის შესახებ, ამ ქვეპუნქტში მითითებული ინფორმაცია შესაძლებელია გამოთხოვილ იქნეს ელექტრონული ფორმით. ამ შემთხვევაში ამ ქვეპუნქტში მითითებული ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

ზ) საგადასახადო ორგანოს მიერ პირის საბანკო ანგარიშებზე წარდგენილი საინკასო დავალების შესასრულებლად აღრიცხვის შემდეგ დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღნიშნულის თაობაზე ამ პირის ინფორმირება, გარდა მისი ინფორმირების შეუძლებლობის შემთხვევისა. (8.11.2011. N5202)

თ) "ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის საერთაშორისო საგადასახადო ვალდებულებების შესრულების გაუმჯობესების და უცხოური ანგარიშის საგადასახადო შესაბამისობის აქტის (FATCA) შესრულების მიზნით" შეთანხმების ფარგლებში გადასცეს საგადასახადო ორგანოს ამ შეთანხმებით გათვალისწინებული ინფორმაცია.

2. თუ ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ინფორმაციის ცნობება ხდება წერილობითი შეტყობინების საგადასახადო ორგანოში ჩაბარებით, მაშინ მისი დამოწმება ხორციელდება საბანკო ანგარიშის გახსნის შესახებ შეტყობინების მეორე ეგზემპლარზე საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირის ხელმოწერით, ხოლო საგადასახადო ორგანოსათვის წარდგენილი შეტყობინების 2 სამუშაო დღის ვადაში დაუმოწმებლობის შემთხვევაში შეტყობინება ავტომატურად ითვლება დამოწმებულად, შესაბამისად, ბანკს უფლება აქვს, განახორციელოს ამ ანგარიშიდან გასავლის ოპერაციები. ამასთანავე, შეტყობინების ჩაბარებად ითვლება საგადასახადო ორგანოში კორესპონდენციის მიღება. (20.12.2011. N5556)

მუხლი 72. პირველადი საგადასახადო დოკუმენტი

1. პირველადი საგადასახადო დოკუმენტი არის წერილობითი დოკუმენტი, რომლითაც შესაძლებელია სამეურნეო ოპერაციის მონაწილე მხარეთა იდენტიფიცირება, აქვს თარიღი და მოიცავს მიწოდებული საქონლის/გაწეული მომსახურების ჩამონათვალსა და ღირებულებას. საქონლის/მომსახურების გაცვლის (ბარტერულ) ოპერაციაზე გამოწერილ პირველად საგადასახადო დოკუმენტში საქონლის ღირებულების (მათ შორის, საქონლის ერთეულის ფასის) მითითება სავალდებულო არ არის. (14.06.2011. N4754)

2. პირველადი საგადასახადო დოკუმენტი დგება არანაკლებ ორ იდენტურ ეგზემპლარად, რომლებიც რჩება სამეურნეო ოპერაციის მონაწილე მხარეებთან.

3. პირი ვალდებულია პირველადი საგადასახადო დოკუმენტი შეინახოს იმ კალენდარული წლის დასრულებიდან არანაკლებ 3 წლის განმავლობაში, რომლის საგადასახადო ვალდებულების დადგენისთვისაც იგი არის აუცილებელი.

მუხლი # 72' - საგადასახადო დოკუმენტი

1. საგადასახადო დოკუმენტი (შემდგომ - სდ) არის საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი ფორმის დოკუმენტი, რომელიც გამოიწერება:

- ა) ქვეყნის შიგნით საქონლის ტრანსპორტირებისას;
- ბ) საქონლის მიწოდებისას;
- გ) მომსახურების გაწევისას.

2. სდ-ის გამოწერის შემთხვევაში სასაქონლო ზედნადების ან საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის (მათ შორის, სპეციალური საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის) გამოწერის ვალდებულება არ წარმოიშობა.

3. დღგ-ის გადამხდელისათვის სდ არის დღგ-ის ჩათვლის დოკუმენტი.

4. სდ-ის გამოწერის/გამოუწერლობის შემთხვევაში დგება ყველა ის სამართლებრივი შედეგი, რომელიც შესაბამის შემთხვევაში დადგებოდა სასაქონლო ზედნადების ან/და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის (მათ შორის, სპეციალური საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის) გამოწერისას/გამოუწერლობისას.

5. სდ-ის გამოწერისა და წარდგენის წესის დარღვევისას გამოიყენება შესაბამისად სასაქონლო ზედნადების ან საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის (მათ შორის, სპეციალური საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის) გამოწერისა და წარდგენის წესთან დაკავშირებული სამართალდარღვევისათვის საქართველოს კანონმდებლობით დაწესებული პასუხისმგებლობის ზომები.

6. სდ შეიძლება გამოიწეროს და წარდგენილ იქნეს ელექტრონული ფორმით.

7. სდ-ის გამოწერისა და წარდგენის წესი განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.

მუხლი 73. ცალკეულ შემთხვევაში დაბეგვრის ობიექტისა და საგადასახადო ვალდებულების განსაზღვრა

1. შემოსავალი გადასახადით იბეგრება იმ შემთხვევაშიც, როდესაც მისი კანონიერება სადავოა.

2. საგადასახადო სამართალდარღვევით მიღებული შემოსავალი ან განხორციელებული სხვა ოპერაცია იბეგრება საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. თუ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში სასამართლოს გადაწყვეტილებით შემოსავალი სრულად ექვემდებარება ბიუჯეტის სასარგებლოდ ამოღებას, იგი არ იბეგრება.

4. თუ რაიმე თანხა გამოიყენება კონკრეტული პირის ინტერესებისათვის, ჩაითვლება, რომ ეს თანხა მიღებული აქვს ამ პირს.

5. საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს, განუსაზღვროს პირს საგადასახადო ვალდებულებები არსებული მასალების საფუძველზე, შესაბამისი ფაქტებისა და გარემოებების გათვალისწინებით. პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდების გამოყენებით (აქტივების სიდიდის, საოპერაციო შემოსავლებისა და ხარჯების გათვალისწინებით, აგრეთვე სხვა მსგავსი ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე). ქვემოთ მოყვანილი ერთზე მეტი ნებისმიერი პირობის არსებობისას: (8.11.2011. N5202)

- ა) პირი არ ახორციელებს ბუღალტრულ აღრიცხვას ან არ ახორციელებს მას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ფორმითა და წესით;
- ბ) სააღრიცხვო დოკუმენტაცია (სსკ.მ.8-22) დაკარგულია ან განადგურებულია;

სააღრიცხვო დოკუმენტაცია – პირველადი დოკუმენტები (მათ შორის, პირველადი საგადასახადო დოკუმენტები), ბუღალტრული აღრიცხვის რეგისტრები და სხვა დოკუმენტები, რომელთა საფუძველზედაც განისაზღვრება გადასახადებით დაბეგვრის ობიექტები, დაბეგვრასთან დაკავშირებული ობიექტები და დგინდება საგადასახადო ვალდებულებები. (სსკ.მ.8-22)

- გ) ადგილი აქვს პირის აქტივების დაუსაბუთებელ ზრდას;
- დ) პირის დასაბეგრი შემოსავალი ან/და ოპერაციის მოცულობა ან/და ფასნამატის მაჩვენებელი მნიშვნელოვნად იცვლება საგადასახადო პერიოდების მიხედვით;
- ე) პირის მიერ ეკონომიკური საქმიანობისათვის ან/და პირადი მოხმარებისათვის გაწეული ხარჯი აჭარბებს დეკლარირებულ შემოსავალს.
- ვ) მიმდინარე საგადასახადო კონტროლის ღონისძიებების შედეგად შესამოწმებელ პერიოდში გამოვლენილია პირის მიერ საგადასახადო სამართალდარღვევის ჩადენის ორი ან მეტი შემთხვევა ან/და არსებითი სხვაობა პირის მიერ საგადასახადო ორგანოში წარდგენილ/დეკლარირებულ დაბეგვრასთან დაკავშირებულ მონაცემებსა და ამ ღონისძიებების შედეგად ფაქტობრივად დაფიქსირებულ მონაცემებს შორის. (28.12.2012. N189 ამოქმედდეს 2013 წლის 1 იანვრიდან)

6. ურთიერთდამოკიდებულ პირებს შორის გარიგებისას შემოსავლები და ხარჯები ისე უნდა განაწილდეს, როგორც დამოუკიდებელ პირებს შორის დადებული გარიგების დროს

7. პირი, რომელიც საქონლის/მომსახურების რეალიზაციას უპირატესად ნაღდი ანგარიშსწორებით ახორციელებს, გადასახადის გადახდისას იყენებს საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილ შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვის გამარტივებულ წესებს. აღნიშნული წესები არ ვრცელდება იმ გადასახადის გადამხდელზე, რომელიც, მოგებისა და საშემოსავლო გადასახადების მიზნებიდან გამომდინარე, ვალდებულია განახორციელოს ან ნებაყოფლობით ახორციელებს ბუღალტრულ აღრიცხვას დარიცხვის მეთოდით, აგრეთვე იმ პირზე, რომელიც რეგისტრირებულია დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელად.

8. ბარტერული ოპერაციის ღირებულების შემცირებულად ჩვენებისას საგადასახადო ორგანო ახორციელებს დაბეგვრის ობიექტის კორექტირებას საბაზრო ფასებით და გადასახადის ხელახალ გამოანგარიშებას საგადასახადო სამართალდარღვევისათვის განსაზღვრული სანქციების გათვალისწინებით

9. საგადასახადო ვალდებულების განსაზღვრის მიზნით საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს:
 - ა) მხედველობაში არ მიიღოს სამეურნეო ოპერაციები, რომლებსაც არა აქვს არსებითი ეკონომიკური გავლენა;
 - ბ) სამეურნეო ოპერაციის ფორმისა და შინაარსის გათვალისწინებით შეცვალოს მისი კვალიფიკაცია, თუ ოპერაციის ფორმა არ შეესაბამება მის შინაარსს.
10. უცხოური ვალუტით განხორციელებული ოპერაცია, რომელიც ექვემდებარება დაბეგვრას, ასევე საბაჟო ღირებულების და იმპორტის/ექსპორტის გადასახდელების ოდენობის განსაზღვრისას უცხოური ვალუტა გადაიანგარიშება ლარებში: (27.03.2012. N5942)

ა) ოპერაციის დღისათვის/საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის დღისათვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსით, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

- ბ) კურსით, რომელიც განისაზღვრება ლარის მიმართ უცხოური ვალუტის გამოქვეყნებული კურსით, მათ შორის, სხვა სახელმწიფოებში გამოქვეყნებული კურსით იმ ვალუტის მიმართ, რომელზედაც არსებობს ლარის გაცვლის ოფიციალური კურსი, თუ ოპერაციის დღისათვის/საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის დღისათვის არ არსებობს საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი

დამატებით გასაცნობი ინფორმაცია

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება № 996 “ინსტრუქციის გადასახადების ადმინისტრირების შესახებ”

მუხლები: 11; 12; 13; 17;21; 22;23.